კოდიფიცირებული

წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილების

დანართი 1

(ცვლილებები და დამატებები ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს:
2016 წლის 13 ივლისის N01, 2016 წლის 27 ოქტომბრის N04,
2016 წლის 16 დეკემბრის N02, 2017 წლის 15 თებერვლის N03,
2017 წლის 20 დეკემბრის N02,
2018 წლის 13 ივლისის N03;
2019 წლის 22 ნოემბრის N07-01/46 ;
2020 წლის 13 მარტის N07-01/68 ;
2020 წლის 24 ივლისის N07-01\83 და
2020 წლის 07 ოქტომბრის N07-01/95
გადაწყვეტილებებით)

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“) სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის საფუძველს, ფორმას, პერიოდულობას, გადაუხდელობის სამართლებრივ შედეგებს, ასევე სწავლის საფასურის გადახდისაგან განთავისუფლებისა და სასწავლო/სამეცნიერო მიზნით ბსუ-ს სტუდენტის უცხო ქვეყანაში კონფერენციაზე/სემინარზე/კონგრესზე დასწრების (მონაწილეობის) ნაწილობრივი დაფინანსების საფუძვლებს.

მუხლი 2. სწავლის საფასურის გადახდის (ადმინისტრაციული რეგისტრაციის) საფუძველი და ფორმა

1. ბსუ-ს სტუდენტის სწავლის საფასურის ოდენობა (ტარიფი) ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით განისაზღვრება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. სწავლის საფასურის გადახდის საფუძველია ბსუ-ს სტუდენტის აქტიური სტატუსი.
3. სასწავლო გრანტის/სამაგისტრო გრანტის მფლობელი სტუდენტის სწავლის საფასურს ანაზღაურებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,კანონმდებლობით დადგენილი წესით, სტუდენტის მიერ მოპოვებული გრანტის პროცენტული ოდენობის შესაბამისად.
4. ბსუ-ს სტუდენტი, რომელმაც ვერ მოიპოვა სასწავლო გრანტი/სამაგისტრო გრანტი, ვალდებულია სწავლის საფასური გადაიხადოს (გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია) შემდეგი რეკვიზიტების გათვალისწინებით: მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიღების

დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE 22; მიღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7 0901 7289.

მუხლი 3. სწავლის საფასურის გადახდის პერიოდულობა *(შევიდა ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 16 დეკემბრის N02 გადაწყვეტილებით)*

1. ბსუ-ს სტუდენტი, გარდა იმ სტუდენტისა, რომელმაც მოიპოვა 100%-იანი სასწავლო გრანტი/სამაგისტრო გრანტი ან პროგრამული დაფინანსება, ვალდებულია ყოველ სასწავლო სემესტრში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს სწავლის წლიური საფასურის ნახევარი.

2. სასწავლო სემესტრის დაწყებისა და დასრულების პერიოდი განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით ან ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე, რომელიც ქვეყნდება ბსუ–ს ვებ გვერდზე (www.bsu.edu.ge.).

3. ყოველი სასწავლო წლის (სემესტრის) დასაწყისში ბსუ–ს რექტორის ბრძანებით დგინდება ბსუ-ს სტუდენტთა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის - სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის პერიოდი. ბსუ-ს უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი განისაზღვრება ცალკე, წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით. *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის N07-01/46 გადაწყვეტილებით)*

4. ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება სემესტრული სწავლის საფასურის ნაწილ-ნაწილ (ეტაპებად) გადახდის შესაძლებლობა და ყოველ ეტაპზე გადასახდელი ოდენობა,რაც არ გამორიცხავს სტუდენტისათვის მთელი სემესტრის სწავლის საფასურის დარიცხვას (სტუდენტს არ დაერიცხება მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური, თუკი შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი შემოდგომის სემესტრში 1 ნოემბრამდე, ხოლო გაზაფხულის სემესტრში - 1 აპრილამდე).

5. ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა ადმინისტრაციული რეგისტრაცია უნდა გაიაროს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში, ამ წესის, ბსუ-ს დოქტორანტურაში სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებისა და დოქტორანტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N07-01/83 გადაწყვეტილებით)*

6. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბრძანებით **ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე** ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირის მიერ ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე (გარდა უცხოენოვანი პროგრამისა) ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე, ხელშეკრულების გაფორმებისთანავე გადახდილი უნდა იქნეს მისი სწავლის საფასური (არანაკლებ 1 სემესტრის). მომდევნო სემესტრებში ამ სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა (სწავლის საფასურის გადახდა) უნდა განხორციელდეს წინამდებარე წესისა და ბსუ-ს რექტორის შესაბამისი ბრძანებით დადგენილ ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში. *(დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 07 ოქტომბრის N07-01/95 გადაწყვეტილებით)*

მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა და ფინანსური ვალდებულება

1. შემოდგომის სემესტრში პირველ ნოემბრამდე მდგომარეობით, ხოლო გაზაფხულის სემესტრში პირველ აპრილამდე მდგომარეობით ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტს არ დაერიცხება მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური (თუკი გადახდილი აქვს წინასწარ, პირადი განცხადების საფუძველზე დაუბრუნდება). *(შევიდა ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 20 დეკემბრის N02 გადაწყვეტილებით, რომელიც გავრცელდა 2017-2018 სასწავლო წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)*

2. შემოდგომის სემესტრში პირველი ნოემბრის შემდეგ, ხოლო გაზაფხულის სემესტრში პირველი აპრილის შემდეგ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტს, პირადი განცხადების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით უკან დაუბრუნდება წინასწარ გადახდილი მომდევნო სემესტრის სწავლის საფასური. იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტს არ გაუვლია აკადემიური რეგისტრაცია ან/და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში არ ფიქსირდება მისი აკადემიური აქტივობა, პირადი განცხადების საფუძველზე დაბრუნებას ექვემდებარება ასევე მიმდინარე სემესტრში გადახდილი სწავლის საფასური. სასწავლო გრანტის მფლობელი/სახელმწიფო დაფინანსების მქონე სტუდენტის სწავლის საფასურის ბსუ-ს ანგარიშზე ჩარიცხვის შემთხვევაში, ამ სტუდენტს ჩაეთვლება იგი გადახდილად სასწავლო პროცესში დაბრუნების შემდეგ შესაბამისი სემესტრით (როდესაც უნდა შეჩერებოდა სტუდენტის სტატუსი) გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლის საფასურში“. *(შევიდა ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 20 დეკემბრის N02 გადაწყვეტილებით, რომელიც გავრცელდა 2017-2018 სასწავლო წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე)*

3. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას/შეჩერებისას, გასულ პერიოდში გადახდილი სწავლის საფასური სტუდენტს უკან არ დაუბრუნდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას წინასწარ ჰქონდა გადახდილი მომდევნო სასწავლო წლის/სემესტრის სწავლის საფასური. სწავლის საფასურის ეტაპობრივად გადახდის შემთხვევაშიც კი, დაბრუნებას ექვემდებარე მხოლოდ წინასწარ გადახდილი მომდევნო სემესტრის სწავლის საფასური.
4. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირის მიერ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ვალდებულია გადაიხადოს მასზე დარიცხული ფინანსური დავალიანება იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მას სტატუსის შეჩერების გამო არ მიეცა შესაბამის სემესტრში გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა ან/და მისგან გამოწვეული მიზეზით არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სწავლასთან დაკავშირებით.
5. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში სტუდენტს უნარჩუნდება ხელშეკრულებით დადგენილი სწავლის საფასურის ოდენობა, ხოლო აღდგენის წესით ჩარიცხვის ან/და სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლების აღმოფხვრის შემთხვევაში, იგი ვალდებულიაგადაიხადოს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმდინარე სასწავლო წლისათვის დადგენილი სწავლის საფასური.
6. ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ პერიოდში ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად ცნობის (სასწავლო პროცესში აღდგენის) შემთხვევაში, სტუდენტს ამავე აქტით განესაზღვრება ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 7 (შვიდ) კალენდარულ დღეს.
7. ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული პირის სტუდენტის უფლებებში აღდგენა (სტუდენტის სტატუსის შეჩერების აქტის ძალადაკარგულად ცნობა) ხორციელდება შიდა მობილობის საშუალებით, ფინანსური დავალიანების დაფარვის შემდეგ. დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტის სტატუსში აღდგენა, რომელმაც სრულად

შეასრულა შესაბამისი პროგრამის მოთხოვნები, დასაშვებია შიდა მობილობის პროცედურების გარეშეც, თუკი სტუდენტი დაფარავს ფინანსურ დავალიანებას და წარმოადგენს განცხადებას კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე. დამატებითი სემესტრის ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი. *(შევიდა ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის N03 გადაწყვეტილებით)*

8. იმ მაგისტრანტების/დოქტორანტების სასწავლო პროცესში დაბრუნება (აღდგენა), რომელთაც ფინანსური დავალიანების გამო შეუჩერდათ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი და შესასრულებლად დარჩენილი აქვთ მხოლოდ ,,სამაგისტრო ნაშრომის შესრულება"/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, დასაშვებია ამ წესით განსაზღვრული შეზღუდვების გარეშე.

მუხლი 5. გაცვლითი სასწავლო პროგრამის (პროექტის) მონაწილე ბსუ-ს სტუდენტის ფინანსური ვალდებულება

1. ბსუ-ს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის (პროექტის) მონაწილე ბსუ-ს სტუდენტის (მათ შორის დოქტორანტის) უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის (შემდეგში ,,საერთაშორისო მობილობა") დაწყებამდე შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება სტუდენტის უცხო ქვეყანაში/უნივერსიტეტში გარკვეული ვადით სასწავლებლად გამგზავრების თაობაზე. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე ბსუ-ს სტუდენტს საერთაშორისო მობილობის პერიოდში არ შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი და არ დაერიცხება მიმდინარე სასწავლო სემესტრის (სასწავლო წლის) სწავლის საფასური, თუმცა სტუდენტი უფლებამოსილია გადაიხადოს იგი, ბსუ-ს და მიმღები უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილ სასწავლო ხელშეკრულებაში (ე.წ. ,,learning agreement") მითითებული კრედიტების ოდენობის შესაბამისად. აღნიშნული სასწავლო ხელშეკრულების ასლი შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ (ფაკულტეტის დეკანის ვიზირებით), ელექტრონული საქმისწარმოების საშუალებით წარედგინება ბსუ-ს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (შემდეგში მათი რეზოლუციით - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს და საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტს). *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N07-01/83 გადაწყვეტილებით)*

2. საერთაშორისო მობილობიდან დაბრუნების შემდეგ ბსუ-ს სტუდენტმა და ბსუ-ს შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულმა (მათ შორის შესაბამისი ფაკულტეტის დასაქმებულმა) უნდა შეასრულონ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" (2015 წლის N111 დადგენილება), ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით" (2019 წლის N06-01/89 დადგენილება) და ,,უცხოეთში ათვისებული კრედიტების აღიარების წესით" (2017 წლის N55 დადგენილება) გათვალისწინებული პროცედურა, რათა გამოიცეს სტუდენტის საერთაშორისო მობილობიდან ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება (დანართით - უცხოეთში ათვისებული კრედიტების შესახებ). აღნიშნული ბრძანების საფუძველზე ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური უზრუნველყოფს მიმდინარე სემესტრში, ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადებში, როგორც მიმდინარე სემესტრის, ასევე საერთაშორისო მობილობის სემესტრის/წლის სწავლის საფასურის სტუდენტისათვის დარიცხვას (კორექტირებას), ბსუ-ს შესაბამისი პროგრამის საფასურის და უცხოეთში ათვისებული და აღიარებული კრედიტების ოდენობის გათვალისწინებით (თუკი უკვე გამოიცა უცხოეთში ათვისებული კრედიტების

აღიარების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება). იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტის ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების სემესტრში არ არის გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანება გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარების შესახებ ან/და შესაბამისი ფაკულტეტიდან/სტუდენტთა ელექტრონული სერვისების განყოფილებიდან არ იქნება წარმოდგენილი ინფორმაცია სტუდენტის მიერ საერთაშორისო მობილობის პერიოდში ათვისებული სასწავლო კურსების შესახებ, სტუდენტს დაერიცხება მხოლოდ ბსუ-ში დაბრუნების სემესტრის (ან/და დარეგისტრირებული ,,სასწავლო კურსების“) სწავლის საფასური. *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N07-01/83 გადაწყვეტილებით)*

3. სტუდენტი, რომელიც საერთაშორისო მობილობის პერიოდში გადაიხდის ბსუ-ში შესაბამისი სემესტრის სწავლის საფასურს, დამატებით არ იხდის ბსუ-ს სასწავლო გეგმით ამ სემესტრისათვის გათვალისწინებული სასწავლო კურსების (ე.წ. ,,განსხვავებული საგნები“) სწავლის საფასურს, თუკი მათთან თავსებადი არ აღმოჩნდება სტუდენტის მიერ უცხოეთში ათვისებული სასწავლო კურსები და იგი დაარეგისტრირებს მათ ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნების შემდეგ. *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N07-01/83 გადაწყვეტილებით)*

4. ბსუ-ს გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხოეთში ათვისებული, ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი კრედიტების (სასწავლო კომპონენტის) აღიარების შესახებ სამართლებრივი აქტის, სტუდენტის განცხადებისა და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის ერთჯერადი სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე. სტიპენდიის ოდენობა განისაზღვრება აღიარებული კრედიტების საფასურის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტის არჩევანის შესაბამისად, უცხოეთში ათვისებული (ე.წ. თავისუფალი კომპონენტის/არჩევითი კურსების სახით) და აღიარებული კრედიტების ოდენობა აჭარბებს ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების საერთო რაოდენობას, სტიპენდია გაიცემა პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ფარგლებში (თუკი სწავლის საფასური გადახდილია). სტიპენდიის დანიშვნის აქტი არ გამოიცემა, თუკი გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტის მიერ განსხვავებული სასწავლო კურსების ათვისებისათვის უნივერსიტეტმა უნდა გაიღოს დამატებითი ხარჯი (მოიწვიოს პროფესორ-მასწავლებლები). *(ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 20 დეკემბრის N02 გადაწყვეტილებით, რომელიც გავრცელდა 2017-2018 სასწავლო წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე).*

5. ბსუ-ს საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს სტუდენტის სწავლის საფასურთან დაკავშირებით სამართლებრივი აქტი გამოიცემა ბსუ-ს რექტორის მიერ (ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვიზირებით), ასეთის საჭიროების შემთხვევაში. გარდა ამისა, ბსუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური ახორციელებს სტუდენტისათვის საერთაშორისო მობილობის პერიოდის სწავლის საფასურის დარიცხვის (თუკი იგი განხორციელდა წინამდებარე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის გარეშე) კორექტირებას/მოხსნას, შემდეგ შემთხვევებში: *(ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N07-01/83 გადაწყვეტილებით)*

ა) საერთაშორისო მობილობაში მონაწილე სტუდენტის განცხადების საფუძველზე, რომელმაც სრულად ან ნაწილობრივ შეასრულა სასწავლო ხელშეკრულებაში (ე.წ. ,,learning agreement”) აღნიშნული აქტივობა, მაგრამ იგი არ აღმოჩნდა თავსებადი ბსუ-ს სასწავლო გეგმით ამ სემესტრისათვის გათვალისწინებულ სასწავლო კურსებთან (ვერ მოხდა მათი აღიარება) და სტუდენტი ბსუ-ში დაბრუნების შემდეგ ვალდებულია შეასრულოს

საერთაშორისო მობილობის პერიოდის (სემესტრის/სასწავლო წლის) ბსუ-ს სასწავლო გეგმის მოთხოვნები;

ბ) საერთაშორისო მობილობაში მონაწილე სტუდენტის განცხადების საფუძველზე, რომელსაც სრულად დაერიცხა ამ პერიოდის სწავლის საფასური ისე, რომ შესაბამისი ფაკულტეტიდან სასწავლო ხელშეკრულება (ე.წ. ,,learning agreement") ან/და შესაბამისი ფაკულტეტიდან/ბსუ-ს სტუდენტთა ელექტრონული სერვისების განყოფილებიდან სტუდენტის მიერ საერთაშორისო მობილობის პერიოდში დარეგისტრირებული ან/და ათვისებული სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაცია არ ყოფილა წარმოდგენილი ან/და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით არ უღიარდა საერთაშორისო მობილობაში ათვისებული კრედიტები.

მუხლი 6. სწავლის საფასური სასწავლო კურსის განმეორებით ან დამატებით გავლისათვის
(შევიდა ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის N03 გადაწყვეტილებით, რომელიც ამოქმედდება 2018-2019 სასწავლო წლიდან)

,,1. სტუდენტი, როგორც წესი, მიმდინარე სემესტრში არეგისტრირებს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტებს (აკადემიური რეგისტრაცია), რომელიც ხორციელდება ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და აკადემიურ/ადმინისტრაციულ რეგისტრაციასთან დაკავშირებით გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.

2. სტუდენტის ფინანსური ვალდებულება მიმდინარე სემესტრში განისაზღვრება სწავლის სემესტრული გადასახადით (წლიური საფასურის ნახევარი), გარდა იმ შემთხვევისა, როცა სტუდენტს დარეგისტრირებული აქვს პროგრამით გათვალისწინებულზე ნაკლები ან მეტი ოდენობით კრედიტები (ამ შემთხვევაში სტუდენტი სწავლის საფასურს იხდის დარეგისტრირებული კრედიტების შესაბამისად). მიმდინარე სემესტრში პროგრამით გათვალისწინებულისაგან განსახვავებული ოდენობით კრედიტების დარეგისტრირება დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმდინარე სემესტრის პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსის წინაპირობა არის რომელიმე სხვა სასწავლო კურსი, რომელშიც სტუდენტს აქვს უარყოფითი შეფასება („F-ჩაიჭრა"), რის გამოც ესაჭიროება სასწავლო კურსის განმეორებით გავლა (ე.წ. ,,კურსის გავლა");

ბ) მობილობის შედეგად (შიდა/გარე/გაცვლითი პროგრამა) მიმდინარე სასწავლო კურსების გავლის ვალდებულება სტუდენტს არ აქვს (არეგისტრირებს განსხვავებულ სასწავლო კურსებს);

გ) ერთი სასწავლო წლის განმავლობაში ასათვისებელი კრედიტების ზღვრული ოდენობის (75 კრედიტის) ფარგლებში სტუდენტს სურს შეფასების გაუმჯობესების მიზნით განმეორებით დაარეგისტრიროს სასწავლო კურსი ან/და დამატებით - სხვა სასწავლო კურსი.

3. სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციების შესახებ დამუშავებული ინფორმაცია, აკადემიური რეგისტრაციის (ცვლილებების რეგისტრაციის) დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში, მაგრამ არაუგვიანეს სემესტრის დაწყებიდან 20 კალენდარული დღისა,ფაკულტეტების დეკანების მიერ წარედგინება ბსუ-ს რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სტუდენტთა ფინანსური დავალიანების განსაზღვრისა და სტატუსის შეჩერების პროცედურების წარმართვის მიზნით.

4. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული განმეორებით/დამატებით გასავლელი სასწავლო კურსების სწავლის საფასური განისაზღვრება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე

სწავლის წლიური საფასურით (მაგალითად: სწავლის წლიური საფასურია 2250 ლარი, ერთი კრედიტის საფასური იქნება (2250: 60 კრედიტზე=) 37 ლარი 50 თეთრი).

მუხლი 7. სტუდენტთა საუნივერსიტეტო დაფინანსება

1. ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდისაგან, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საფასურის ფარგლებში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით თავისუფლდებიან მხოლოდ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რომლებიც არიან მშობლების მზრუნველობას მოკლებულნი (დედ-მამით ობოლი ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებული მშობლების შვილები). ბრძანება გამოიცემა სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა სტუდენტის განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში. ადმინისტრაციის ხელმღვანელი უფლებამოსილია ამ კატეგორიის სტუდენტი გაათავისუფლოს ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდისაგან:

ა) მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასაწყისიდან, თუკი განთავისუფლების ამ პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი არსებობდა ამ სემესტრის დაწყებამდე, თუმცა განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა სტუდენტმა საპატიო მიზეზით დააგვიანა (წარმოადგინა სემესტრის დასრულებამდე);

ბ) მომდევნო სასწავლო სემესტრის დასაწყისიდან, თუკი განთავისუფლების ამ პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი მიმდინარე სემესტრის განმავლობაში ან მომდევნო სემესტრის დაწყებამდე და სტუდენტმა წარმოადგინა განცხადება თანდართული დოკუმენტაციით
(შევიდა ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 20 დეკემბრის N02 გადაწყვეტილებით, პირველი პუნქტის წინამდებარე რედაქცია ამოქმედდება 2018-2019 სასწავლო წლიდან).

1[1.] · სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრების (მეუღლე, შვილი) განათლების ხელშეწყობის მიზნით, ბსუ-ს აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (საბაკალავრო/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო/სამედიცინო აკადემიურ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე) სწავლის თანადაფინანსება შეიძლება განხორციელდეს ბსუ-ში გადასახდელი სწავლის **წლიური საფასურის 30 %-ის ოდენობით,** ამ კატეგორიის სტუდენტის მიერ პირველ სემესტრში წარმოდგენილი განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის (დაბადების მოწმობა, ქორწინების სარეგისტრაციო მოწმობა, ცნობა დასაქმების ადგილიდან და სხვა) საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით. (*დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N07-01/83 გადაწყვეტილებით) (ცვლილება **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 07 ოქტომბრის N07-01/95 გადაწყვეტილებით)***

2. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათები გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, ბსუ-ს სტუდენტთათვის შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ სპეციალური სოციალური პროგრამის ფარგლებში ან/და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

3. სპეციალურ სოციალურ პროგრამას (დაფინანსების/შეღავათების სახეებს, პირობებს, სტუდენტთა კატეგორიასა და განხორციელების წესს) შეიმუშავებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გამოსცემს ბრძანებას ბსუ-ს სტუდენტთათვის სწავლის დაფინანსების/ შეღავათის მინიჭების შესახებ.

5. სასწავლო/სამეცნიერო მიზნით ბსუ-ს სტუდენტის უცხო ქვეყანაში კონფერენციაზე/სემინარზე/კონგრესზე დასწრების (მონაწილეობის) ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ სტუდენტის განცხადებას განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, რომლის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოიცემა შესაბამისი ბრძანება, თუკი სტუდენტების დაფინანსებისათვის ხარჯი ერთი სემესტრის განმავლობაში არ აღემატება შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ წინა სემესტრში გადახდილისწავლის საფასურის საერთო რაოდენობის 1 (ერთ) %-ს. ამასთან, ერთი სტუდენტის დაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1000 (ათას) ლარს.

6. გარდაცვალების გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ბსუ-ს წინაშე არსებული ამ პირის სახელზე არსებული ფინანსური დავალიანების (დარიცხული სწავლის საფასურის) გაუქმების საფუძველია. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების საფუძველზე გამოიცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება ***(შევიდა დამატება წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 16 დეკემბრის N02 გადაწყვეტილებით).***

7. ***ძალადაკარგულად იქნა ცნობილი*** *წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 20 დეკემბრის N02 გადაწყვეტილებით, რომელიც გავრცელდა 2017-2018 სასწავლო წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე);*

8. ***ძალადაკარგულად იქნა ცნობილი*** *წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 20 დეკემბრის N02 გადაწყვეტილებით, რომელიც გავრცელდა 2017-2018 სასწავლო წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე);*

9. ***ძალადაკარგულად იქნა ცნობილი*** *წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 20 დეკემბრის N02 გადაწყვეტილებით, რომელიც გავრცელდა 2017-2018 სასწავლო წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე).*

10. სახელმწიფო სტიპენდიის მიმღებ კანდიდატებს - უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს, რომლებსაც სწავლის პერიოდში, შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ფარგლებში, ყოველ სასწავლო კურსში (როგორც ძირითად ან/და დამატებით, ისე საკუთარი ინიციატივით დარეგისტრირებულ სასწავლო კურსში) მიღებული აქვთ შეფასება არანაკლებ „ძალიან კარგი“ ან წინა სემესტრის გათვალისწინებით ყოველ სასწავლო კურსში შეფასება ,,ფრიადი“, მათი წერილობითი განცხადების შემთხვევაში, გადაუვადდეთ მიმდინარე სწავლის საფასურის გადახდის ვადა ამავე სემესტრში სახელმწიფო სტიპენდიის მიღებამდე (ამ პირთა სწავლის საფასურის დავალიანებასთან დაკავშირებით სამართლებრივი აქტი გამოიცეს არაუგვიანეს შესაბამისი სემესტრის დასრულებამდე). *(დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის N07-01/68 გადაწყვეტილებით)*

მუხლი 8. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შედეგი

1. რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის - სწავლის საფასურის გადაუხდელობის - შემთხვევაში, სტუდენტს შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი. სტუდენტის განცხადების საფუძველზე შესაძლებელია ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების სამართლებრივი აქტის გამოცემა გადავადდეს სწავლის საფასურის გადახდის განრიგზე მხარეთა შეთანხმების გაფორმებით (ბსუ-ს მხრიდან ხელს აწერს რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი) ან ასეთი შეთანხმების გაფორმების გარეშე, თუკი სწავლის საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობა შესაძლოა გამოწვეული იყოს

ქვეყანაში ან/და რეგიონში შექმნილი ფორსმაჟორული ვითარებით (შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, იგი ხდება ამ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების ნაწილი). *(შევიდა ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 20 დეკემბრის N02 გადაწყვეტილებით, რომელიც გავრცელდა 2017-2018 სასწავლო წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე;* ***ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N07-01/83 გადაწყვეტილებით)***

2. სწავლის ფინანსური დავალიანების მქონე ბსუ-ს სტუდენტის/კურსდამთავრებულის განცხადების საფუძველზე სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ცნობის, დიპლომის/სერტიფიკატის/მოწმობის ან/და პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის, გაცემამდე შესაძლებელია გაფორმდეს შეთანხმება -სწავლის საფასურის დავალიანების გადახდის განრიგზე (ბსუ-ს მხრიდან ხელს აწერს რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი), თუკი საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. (***ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N07-01/83 გადაწყვეტილებით)***

3. სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულების (ფინანსური დავალიანების) მქონე ბსუ-ს სტუდენტის განცხადების საფუძველზე შესაძლებელია ფინანსური დავალიანების გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების სამართლებრივი აქტის გამოცემა გადავადდეს არაუგვიანეს <u>შესაბამისი სემესტრის დასრულებამდე, თუკი სტუდენტს</u> წარდგენილი აქვს განცხადება (სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში თუ ბსუ-ს სტუდენტთა მხარდაჭერის ფონდში) სწავლის დაფინანსების მოპოვების მიზნით და ელოდება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. (***ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N07-01/83 გადაწყვეტილებით)***

4. ბსუ-ს სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი განცხადებით მოითხოვოს მის მიერ ზედმეტად გადახდილი სწავლის საფასურით სრულად ან ნაწილობრივ ბსუ-ს სხვა სტუდენტის სწავლის საფასურის დაფარვა (მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური სტუდენტს ეთვლება ზედმეტად გადახდილად, თუკი მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი 1 ნოემბრამდე - შემოდგომის სემესტრში, ხოლო 1 აპრილამდე - გაზაფხულის სემესტრში)*(შევიდა ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 16 დეკემბრის N02 გადაწყვეტილებით);*

5. ნაწილობრივი სასწავლო/სამაგისტრო გრანტის მფლობელ პირს ამ გრანტის პროპორციულობის (სამინისტროდან მიღებული/მისაღები თანხის ოდენობის) გათვალისწინებით, მხოლოდ სასწავლო წლის პირველ სემესტრში შეიძლება არ შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი.

6. ბსუ-ს სტუდენტს (გარდა დამამთავრებელი ან დამატებითი სემესტრის სტუდენტისა) ერთი სასწავლო სემესტრის განმავლობაში 100 ლარამდე დავალიანების შემთხვევაში არ შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი (აღნიშნული დავალიანება პირველ რიგში დაიფარება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის ანგარიშზე შემოტანილი თანხიდან). *(შევიდა ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 13 ივლისის N03 გადაწყვეტილებით)*

7. სწავლის ფინანსური დავალიანების მქონე ბსუ-ს სტუდენტის ან სტატუსშეჩერებული ან სტატუსშეწყვეტილი ან კურსდამთავრებულის მიერ წარმოდგენილი განცხადების ან/და ამ პირთა მიმართ საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურიდან ან/და შესაბამისი ფაკულტეტიდან ან/და სააღსრულებო ბიუროდან წარმოდგენილი მონაცემების/კორესპონდენციის საფუძველზე ფინანსური დავალიანების მქონე პირთან გასაფორმებელი, სწავლის საფასურის გადახდის განრიგზე **შეთანხმების პროექტი** (რომელსაც ბსუ-ს მხრიდან ხელს აწერს რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი) მზადდება ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტისა და საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის მიერ. აღნიშნული შეთანხმება ხდება ამ სტუდენტთან/კურსდამთავრებულთან გაფორმებული ხელშეკრულების ნაწილი და

შეთანხმების დედანი შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისის/კანცელარიის მიერ (დეკანის ოფისში ან ბსუ-ს არქივში, თუკი გადაცემულია) მიეთვისება სტუდენტის პირად საქმეს, ხოლო ასლი შეინახება ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურში (შესაბამისი დასაქმებული შეთანხმების გაფორმების შესახებ სამსახურებრივ ბარათს წარუდგენს ბსუ-ს რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მას შემდეგ, რაც გაფორმებული შეთანხმების დედანს გადასცემს ბსუ-ს კანცელარიას).(*დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N07-01/83 გადაწყვეტილებით)*

მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

1. 2015-2016 სასწავლო წლის მეხუთე და მეექვსე ეტაპის ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძანება ბსუ-ს რექტორის მიერ შეიძლება გამოიცეს ამ წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2016 წლის 27 ივლისისა. *(შევიდა დამატება წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 27 ივლისის N02 გადაწყვეტილებით)*
2. იმ სტუდენტებს, რომლებმაც ვერ მოიპოვეს 2016-2017 სასწავლო წლისათვის სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება, მათი მოთხოვნის საფუძველზე, 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასური გადაუნაწილდეთ 2016-2017 წლის სასწავლო წლის ბოლომდე ეტაპობრივად გადასახდელად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტის შესაბამისად. *(შევიდა დამატება წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 15 თებერვლის N03 გადაწყვეტილებით)*
3. ბსუ-ს იმ სტუდენტის განცხადების (მოთხოვნის) საფუძველზე, რომელსაც 2017-2018 სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში, პირადი განცხადების საფუძველზე შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, სასწავლო სემესტრის დაწყებიდან 45 დღის განმავლობაში (გაზაფხულის სემესტრში 31 მარტის შემდეგ, ხოლო შემოდგომის სემესტრში - 30 ოქტომბრის შემდეგ), დაერიცხა, მაგრამ არ აქვს გადახდილი ამ სემესტრის სწავლის საფასური, ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური და იურიდიული დეპარტამენტი ამზადებს ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტს (ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვიზირებით) ამ სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების შესახებ შესაბამის ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ (ემატება ჩანაწერი ამ სტუდენტისათვის დარიცხული სწავლის საფასურის კორექტირების/მოხსნის თაობაზე). (*დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N07-01/83 გადაწყვეტილებით)*
4. 2020-2021 სასწავლო წლის დაწყებამდე საერთაშორისო მობილობაში მონაწილე სტუდენტის განცხადების (დარიცხული სწავლის საფასურის მოხსნის ან კორექტირების შესახებ) საფუძველზე, რომელმაც სრულად ან ნაწილობრივ შეასრულა სასწავლო ხელშეკრულებაში (ე.წ. ,,learning agreement”) აღნიშნული აქტივობა, მაგრამ იგი არ აღმოჩნდა თავსებადი ბსუ-ს სასწავლო გეგმით ამ სემესტრისათვის გათვალისწინებულ სასწავლო კურსებთან (ვერ მოხდა მათი აღიარება) და სტუდენტი ბსუ-ში დაბრუნების შემდეგ ვალდებულია შეასრულოს საერთაშორისო მობილობის პერიოდის (სემესტრის/სასწავლო წლის) ბსუ-ს სასწავლო გეგმის მოთხოვნები, გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება (ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვიზირებით) და ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურმა უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო მობილობის პერიოდის სწავლის საფასურის დარიცხვის კორექტირება/ მოხსნა.(*დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N07-01/83 გადაწყვეტილებით)*

5. 2020-2021 სასწავლო წლის დაწყებამდე საერთაშორისო მობილობაში მონაწილე სტუდენტის განცხადების (დარიცხული სწავლის საფასურის მოხსნის ან კორექტირების შესახებ) საფუძველზე, რომელსაც სრულად დაერიცხა ამ პერიოდის სწავლის საფასური ისე, რომ შესაბამისი ფაკულტეტიდან სასწავლო ხელშეკრულება (ე.წ. ,,learning agreement") ან/და შესაბამისი ფაკულტეტიდან/ბსუ-ს სტუდენტთა ელექტრონული სერვისების განყოფილებიდან სტუდენტის მიერ საერთაშორისო მობილობის პერიოდში დარეგისტრირებული ან/და ათვისებული სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაცია არ ყოფილა წარმოდგენილი ან/და არ გამოცემულა ბსუ-ს რექტორის ბრძანება საერთაშორისო მობილობის პერიოდში ამ სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების შესახებ, გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება (ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვიზირებით) და ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურმა უნდა უზრუნველყოს ამ სტუდენტის საერთაშორისო მობილობის პერიოდის სწავლის საფასურის დარიცხვის კორექტირება/მოხსნა, რაც არ გამორიცხავს შემდეგში ამ სტუდენტისათვის, ამავე საერთაშორისო მობილობასთან დაკავშირებით გამოცემული სამართლებრივი აქტის მიხედვით, სწავლის საფასურის ხელახლა დაანგარიშებასა და დარიცხვას.(*დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N07-01/83 გადაწყვეტილებით)*